ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝ
NATIONAL BUREAU OF ENFORCEMENT

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #99. / Tbilisi, D. Aghmashenebeli Alley, #99
ტელ/Tel: 2 749 649; email: info@nbe.gov.ge

www.nbe.gov.ge

# ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ

**F21000885**

ფაქტის დამდგენი:

გურამ ხარაიშვილი

ფაქტის დადგენის დრო:

09.07.2021 15:50 -დან
09.07.2021 16:35 -მდე

ფაქტების კონსტატაციის საფუძველი:

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი"-ს (404476189) განცხადება ფაქტის დადგენის შესახებ

ფაქტების კონსტატაციის ადგილი:

საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 66ა

გარემოება, რომლის დადგენაც არის მოთხოვნილი:

საიტზე განთავსებული (www.aldagi.ge) ინფორმაციის ფაქტის კონსტატაცია.

მითითება გამოყენებულ ტექნიკურ მოწყობილობებზე:

1. Removable disk: SP UFD U3, 16 GB

ფაქტის დამდგენი:

გურამ ხარაიშვილი

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ/
ᲨᲢᲐᲛᲞᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘᲐ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ

2021 წლის 09 ივლისს 15:50 სთ-ზე სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-ს (ს/კ 404476189) განცხადების საფუძველზე გვანცა ქოიავა გამოცხადდა, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #99-ში, რათა დამეფიქსირებინა ვებ-გვერდზე „www.aldagi.ge“-ზე არსებული ინფორმაცია. ფაქტების კონსტატაციას ესწრებოდა გვანცა ქოიავა

ზემოთაღნიშნულ მისამართზე არსებული კომპიუტერის მეშვეობით განხორციელდა ფაქტების კონსტატაცია.




გვანცა ქოიავას მითითებით გავხსენი ვებ-ბრაუზერი „Google Chrome“ და დავაფიქსირე მიღებული შედეგი



მიღებული შედეგი




მიღებული შედეგის გვერდზე გვანცა ქოიავას მითითებით საიტების ძებნის ველში ჩავწერე „www.aldagi.ge“. დავაფიქსირე შედეგი



მიღებული შედეგის გვერდზე გვანცა ქოიავას მითითებით დავაკლიკე წითლად მონიშნულ ველს წარწერით „დაზღვევის პირობები“. დავაფიქსირე მიღებული შედეგი.




მიღებული შედეგის გვერდზე გვანცა ქოიავამ ყურადღება გაამახვილა წითლად მონიშნულ ველზე. დავაფიქსირე მიღებული შედეგი.



მიღებული შედეგი. იხ. სურათი #7 - #26

7




ტვირთების დაზღვევის პირობები # MC/C-001/2019

მუხლი 1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანი

1.1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია დამზღვევის ტვირთების დაზღვევა მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე.

1.2. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა ფარავს ტვირთის ტრანსპორტირების პერიოდის განმავლობაში საერთო ავარიისა და ქონების გადარჩენის ხარჯებს, რომლებიც გამოწვეულია **Institute Cargo Clauses (A) –** ში აღნიშნული რისკებით, წინამდებარე პირობების მე-3 მუხლში მოყვანილი გამონაკლისების გათვალისწინებით. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ურთიერთობა რეგულირდება, როგორც ამ პირობებით ასევე **Institute Cargo Clauses (A)** -ში განსაზღვრული პირობებით. **Institute Cargo Clauses (A)** -თან ერთვის დაზღვევისხელშეკრულებას და მისი განუყოფელი ნაწილია.

1.3. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა ტვირთის დაზღვევის პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე დაზღვევის პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, სადაზღვევო პოლისის გაცემა ხორციელდება დაზღვევის განაცხადის დამზღვევის მიერ შევსებისა და მისთვის სასურველი რისკების აღნიშნულ განაცხადში მითითების საფუძველზე. სადაზღვევო პოლისი, დაზღვევის განაცხადი, წინამდებარე დაზღვევის პირობები და **Institute Cargo Clauses (A)** წარმოადგენენ ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2 ტერმინთა განსაზღვრებანი

დაზღვევისხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **მზღვეველი** _ სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";
2.2. **დამზღვევი** _ პირი, რომელიც ამგვარად არის მითითებული სადაზღვევო პოლისში, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;
2.3. **მოსარგებლე** _ პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
2.4. **სადაზღვევო თანხა** _ თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; თითოეული დაზღვეული ტვირთისათვის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება სადაზღვევო პოლისში; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც ასევე ასახვას ჰპოვებს სადაზღვევო პოლისში;
2.5. **სადაზღვევო პრემია** _ თანხა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის



**2.5. სადაზღვევო პრემია** _ თანხა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებით/შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

**2.6. ფრანშიზა** _ სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობას; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევის მიმართ შეიძლება, დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას ჰპოვებს სადაზღვევო პოლისში;

**2.7. სადაზღვევო პერიოდი** _ (დაზღვევის მოქმედების ვადა) _ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.;

1

**2.8. სადაზღვევო პოლისი** _ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**2.9. დაზღვევის განაცხადი** _ მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებლი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

**2.10. დაზღვევის ობიექტი** – დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზარალის მზღვეველის მიერ ანაზღაურებასთან

**2.11. დაზღვევის საგანი** - დაზღვევის საგანს წარმოადგენს დამზღვევის ტვირთები, რომლის დეტალური დასახელება, სპეციფიკაცია და რაოდენობა მიეთითება დამზღვევის განაცხადსა და სადაზღვევო პოლისში.

**2.12. დაზღვევის ტერიტორია** – ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც არის დაზღვეული კონკრეტული ტვირთი. დაზღვევის კონკრეტული ტერიტორია მიეთითება სადაზღვევო პოლისში.

**2.13. სადაზღვევო შემთხვევა** - Institute Cargo Clauses (A) -ში მითითებული რისკების ზღომილებით გამოწვეული დაზღვეული ტვირთის დაზიანება ან განადგურება, წინამდებარე პირობების მე-3 მუხლში და Institute Cargo Clauses (A) -ში მოყვანილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

**2.14. სადაზღვევო ანაზღაურება** – თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;

**2.15. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.16. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის



**2.16. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

დაზღვევის ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

**მუხლი 3. გამონაკლისები**

**3.1.** დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება ან ხარჯი, გამოწვეული:

**3.1.1.** დაზღვევის საგნის წონისა ან მოცულობის ჩვეული დაკლებით, ან ბუნებრივი ცვეთით.

**3.1.2.** დაზღვევის ობიექტის არასაკმარისი ან შეუფერებელი შეფუთვით ან დახურვით, ტვირთის დაზიანებულ მდგომარეობაში გაგზავნით;

**3.1.3.** დაზღვევის ობიექტის წუნით ან მისი ბუნებრივი თვისებებით (გარდა დანაკარგის, ზიანის ან ხარჯისა, რომელიც გამოწვეულია იმ ტემპერატურის ცვლილების შედეგად, რომელიც დაფარული იქნება 3.1.6 მუხლის მიხედვით);

**3.1.4.** ტვირთის ნაკლულობით გარე შეფუთვის მთლიანობის შემთხვევაში ან/და ტვირთის ქურდობით ან/და უგზოუკვლოდ/აუხსნელ ვითარებში გაუჩინარებით (დანაკლისით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით დგინდება, რომ ასეთ ქურდობას ან გაუჩინარებას (დანაკლისს) ადგილი ჰქონდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონტეინერში ან/და გადასაზიდ საშუალებაში ძალადობრივი ან/და ძალისმიერი შეღწევით;.

**3.1.5.** ტემპერატურის, ტრიუმის ჰაერის ზეგავლენით ან ტვირთის განსაკუთრებული თვისებებით, მათ შორის გამოშრობით;

2

**3.1.6.** გარემოს ტემპერატურის ზეგავლენით, რომელიც განპირობებულია რეფრიჟერატორული მოწყობილობის ნებისმიერი სახის გაუმართაობის, მწყობრიდან გამოსვლის ან/და არასათანადო ექსპლუატაციის შედეგად ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით;

10 დაზღვევის პირობები - სადა... 4666.pdf
aldagi.ge/_cdn/43/70/XSdxFFNKWEu7voWcb_UwFg/4666.pdf
4666.pdf 3 / 14 75%

**3.1.7.** ჭიების, მღრღნელების და მწერების მიერ ტვირთის დაზიანებით;

**3.1.8.** ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩატანის შეყოვნებით და ფასების ვარდნით; აგრეთვე არ ანაზღაურდება დამზღვევის ნებისმიერი სხვა არაპირდაპირი ზარალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად აღნიშნული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას საერთო ავარიის წესით;

**3.1.9.** გადაზიდვის საშუალებათა მფლობელის, მმართველის ან ოპერატორის ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით.

**3.1.10.** გადაზიდვის საშუალების უსაფრთხო გადატანისათვის გამოუსადეგრობით, როდესაც დაზღვეულისთვის (დამზღვევისათვის) ან მისი მომსახურე პერსონალისათვის ცნობილია გადაზიდვის საშუალების ასეთი გამოუსადეგარობა დაზღვევის ობიექტის მასში ჩატვირთვის დროს.

**3.1.11.** გადაზიდვის საშუალების მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, გარდა გასაჩერებლად გამოყოფილი და დაცული ადგილებისა.

**3.1.12.** იონიზირებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავის ნებისმიერი ნარჩენის ან რადიაქტიული დაბინძურებით.

**3.1.13.** უშუალოდ ან არაპირდაპირი საომარი მოქმედებებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, აჯანყებით, დივერსიებით, მასობრივი არეულობით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, საომარი მდგომარეობით, ლოკაუტირებული მუშების გამოსვლებით და სხვა ანალოგიური მიზეზებით.

**3.1.14.** ტერორისტული აქტით;

**3.1.15.** გემის დანესტიანებითა და ტვირთის დასველებით ატმოსფერული ნალექების შედეგად;

**3.1.15.** დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით აგრეთვე მათ მიერ ტვირთების გადაზიდვის, გადაგზავნის ან შენახვისათვის დადგენილი წესების დარღვევის შედეგად;

**3.1.16.** დაზღვევის ხელშეკრულებაში (ან შესაბამის პოლისში) აღნიშნულის გარდა სხვა რისკებით.

**3.1.17.** დაზღვევის ობიექტისდაზღვევის ტერიტორიაზე არყოფნის დროს.

**3.1.18.** ასევე ყველა იმ გამონაკლისით, რომელიც მოცემულია **Institute Cargo Clauses (A)** -ში.

**3.1.19.** დაზღვეულის (დამზღვევის) მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

**3.1.20.** გემბანზე განთავსებული ტვირთის ან ისეთი ტვირთის ბორტს მიღმა გადავარდნით ან ტალღის შედეგად გადაცვენით, რომლის გადაზიდვაც ხდება უგემბანო გემებით;

## მუხლი 4. სადაზღვევო ტარიფი, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო ანაზღაურება

**4.1** დამზღვევის მიერ ტვირთის დაზღვევისათვის მზღვეველის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის, შესაბამისი სადაზღვევო თანხის, მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტების, სადაზღვევო ტარიფისა და უპირობო ფრანშიზის მოცულობა განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული განაცხადი-ანკეტის მონაცემთა საფუძველზე.

**4.2** სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. .

**4.3** სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, პრემიის დროულად, სადაზღვევო

ENG 16:30 09.07.2021



**4.3** სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობისას, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისის მოქმედება.

3

**4.4** სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე არ შეიძლება აღემატებოდეს რეალური ზიანის თანხის სიდიდეს.

**4.5.** სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევმა მზღვეველს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:
ა) განცხადებული პრეტენზია (განცხადების ფორმით);
ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი; (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება).
გ) დაზიანებული ტვირთის ანგარიშფაქტურა, რომელიც გაიცა ტვირთის გამოსვლის ადგილას;
დ) ტვირთის სატრანსპორტო ზედნადების ორიგინალი და ხელშეკრულება სატრანსპორტო კომპანიასთან (გადამზიდველთან, ექსპედიტორთან);
ე) ზარალის შეფასების აქტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და ზარალის ოდენობას;
ვ) ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას მისი ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ზ) სხვა ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომია დაზღვეულისათვის და კავშირშია დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან.

**4.6.** დაზღვევო ანაზღაურების გადახდის საფუძველს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელიც დგება სადაზღვევო შემთხვევის დამდასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტის მზღვეველის მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, რომელშიც განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის სიდიდე, ოდენობა და ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა.

**4.7.** ზარალის ოდენობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და სხვა გარემოებების დადგენა ხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტის, მზღვეველის ან მზღვეველის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

**4.8.** იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:



დამოუკიდებელი ექსპერტის, მზღვეველის ან მზღვეველის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

**4.8.** იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

**4.9.** სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობით.

**4.10.** სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა.

**მუხლი 5. რეგრესი**

**5.1.** მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია, გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

**5.2.** დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე,

4

რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის

13



უფლებამოსილებას.

**მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**6.1. დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:**

**6.1.1.** განუხრელად დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულებით/სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები.

**6.1.2.** უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის გასაცემად აუცილებელი ინფორმაციით.

**6.1.3.** დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

**6.1.4.** დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყონებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან.

**6.1.5.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მიიღოს ობიექტურად შესაძლებელი ყველა საჭირო ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის სიდიდის შესამცირებლად;

**6.1.6.** გაუწიოს მზღვეველს (მზღვეველის მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს) სათანადო დახმარება და ხელი შეუწყოს, რათა მან მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გამომწვევი გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

**6.1.7.** მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში;

**6.1.8.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 48 საათისა, აცნობოს მომხდარის შესახებ მზღვეველს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

**6.1.9.** დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ.

**6.1.10** საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში.

**6.1.11.** დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და/ან მის მიმართ წარმოებულ იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე.

**6.1.12.** ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ტვირთის უსაფრთხოების დასაცავად.

**6.1.13.** ზედმიწევნით დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

**6.1.14.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.



**6.1.14.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.

**6.1.15.** თუ დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით/სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული

5

ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში ტვირთის ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

**6.2. დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია:**

**6.2.1.** განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

**6.2.2.** სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება დაზღვევის ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

**6.3. მზღვეველი ვალდებულია:**

**6.3.1.** განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;

**6.3.2.** მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

**6.3.3.** შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;

**6.3.4.** გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში;

**6.3.5.** ჯეროვნად შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

**6.4. მზღვეველი უფლებამოსილია:**

**6.4. მზღვეველი უფლებამოსილია:**

**6.4.1.** მოითხოვოს დამზღვევისგან სადაზღვევო პოლისის გასაცემად აუცილებელი ინფორმაცია (ზედმიწევნით სრულყოფილად შევსებული შესაბამისი ანკეტა-განაცხადი);

**6.4.2.** მოითხოვოს დამზღვევისგან სადაზღვევო პრემიის სრული და დროული გადახდა;

**6.4.3.** გააკონტროლოს დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

**6.4.4.** შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა დაზღვევის საგანთან დაკავშირებული არსებითი გარემოებები;

**6.4.5.** ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.

**6.4.6.** გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

**6.4.7.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

**6.4.8.** სრული კონტროლი გაუწიოს სარჩელის (პრეტენზიის) მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

**6.4.9.** მოახდინოს დაზიანებული ტვირთის დათვალიერება და ფოტოგადაღებები;

**6.4.10.** შეადგინოს ზარალის მოცულობის, ხასიათისა და გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის აქტი, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, უფლებამოსილი წარმომადგენლის (ექსპერტის) მეშვეობით;

**6.4.11.** მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო განადგურებულ ტვირთზე, ხოლო ტვირთის დაკარგვის გამო

6

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას დაკარგული ტვირთის პოვნის შემთხვევაში _ ნაპოვნ ტვირთზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ტვირთზე საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ტვირთის რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ტვირთის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასაწარ ათანხმებს მზღვეველთან.

16 დაზღვევის პირობები - სადა… 4666.pdf

aldagi.ge/_cdn/43/70/XSdxFFNKWEu7voWcb_UwFg/4666.pdf

4666.pdf 7 / 14 75%

რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ტვირთის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასაწრ ათანხმებს მზღვეველთან. ამასთან დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

**6.4.12.** არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით/სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**6.4.13.** თუ მოსარგებლისათვის ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის მოთხოვნის უფლება და მოითხოვოს ანაზღაურება დაზღვეულზე გაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

**6.4.14.** გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

**6.4.15.** არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია განზრახ.

**6.4.16.** არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას.

**6.4.17.** არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;

**6.4.18.** არ აანაზღაუროს ზარალი, თუ შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე ანუ გადაუხდელი აქვს სადაზღვევო პრემია;

**6.4.19.** ამასთან, მზღვეველის პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

**მუხლი 7. დავა, ზიანის ანაზღაურება**

**7.1.** მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**7.2.** დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. „დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 7.1. პუნქტის შესაბამისად.

**7.3.** თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი

ENG 16:31 09.07.2021

17 დაზღვევის პირობები - სადა 4666.pdf

aldagi.ge/_cdn/43/70/XSdxFFNKWEu7voWcb_UwFg/4666.pdf

4666.pdf 8 / 14 75%

შესაბამისად.

**7.3.** თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7

**მუხლი 8. ფორს-მაჟორი**

**8.1.** მხარეები დროებით თავისუფლდებიან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

**8.2.** ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

**8.3.** ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

**მუხლი 9. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა**

**9.1.** დაზღვევის ხელშეკრულებით/სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

**ა)** მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
**ბ)** მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;
**გ)** სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;
**დ)** თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა;
**ე)** თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;
**ვ)** ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი.
**ზ)** თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;
**თ)** მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
**ი)** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

16:31 09.07.2021

18

aldagi.ge/_cdn/43/70/XSdxFFNKWEu7voWcb_UwFg/4666.pdf

4666.pdf 8 / 14

თ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**9.2.** მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 მუხლის ა, გ, დ და ვ ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 10 დღიანი ვადის დაცვით. სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში, ასევე, 9.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით.

**9.3.** დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 10 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად.

**9.4.** ამასთან, დაზღვევის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში დაზღვეულ ტვირთთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

8

## ᲛᲣᲮᲚᲘ 10. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

**10.1.** დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**10.2.** დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

**10.3.** დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს



**10.3.** დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, დამზღვევის მისამართი/ადგილსამყოფელი მითითებულია შესაბამის განაცხადში. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

**10.4.** დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, დაზღვევის ხელშეკრულებაზე/სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

**10.5.** დაზღვევის ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;

**10.6** დაზღვევის პოლისზე და შესაბამის განაცხადზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირს აქვს სათანადო უფლებამოსილება ამისათვის;

**10.7.** დაზღვევის პოლისზე და დაზღვევის განაცხადზე ხელმოწერით დამზღვევი ასევე ადასტურებს, რომ დაზღვევის პირობებს რომელიც ხელმისაწვდომია ხელშეკრულების დადებამდე გაეცნო და ეთანხმება;

**10.8.** დაზღვევის პოლისზე ხელმოწერით, დამზღვევი ანიჭებს უფლებამოსილებას მზღვეველს, მზღვეველის ან მზღვეველის აფილირებული პირის მიერ მზღვეველის საქმიანობის რეკლამირებისას, საქმიანობის შესახებ საჯარო განცხადების (მათ შორის წერილობით, მასობრივად ხელმისაწვდომი საშუალებით, ინტერნეტით და სხვა) გაკეთებისას მიუთითოს დამზღვევი, როგორც მზღვეველის კლიენტი, მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების არსებობაზე (კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვით) და ამ მიზნით დამზღვევის აღსანიშნავად გამოიყენოს დამზღვევის საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი (მათ შორის ის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც დამზღვევი იყენებს სასაქონლო ნიშნის მესაკუთრისგან/მფლობელისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე).

**10.9.** დაზღვევის პოლისზე და დაზღვევის განაცხადზე ხელმოწერით დამზღვევი ასევე ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო **Institute Cargo Clauses (A)** -ს უკლებლივ ყველა პირობას და ეთანხმება მათ შინაარსს.



1/1/09

INSTITUTE CARGO CLAUSES (A)

**დაფარვის მოცულობა**

<u>რისკები</u>

1. წინამდებარე დაზღვევა ფარავს დაზღვევის საგნის დაკარგვის/დაღუპვისა თუ დაზიანების ყველა რისკს, გარდა ქვემოთ მითითებული მე-4, მე-5, მე-6, და მე-7 მუხლებით გამორიცხული შემთხვევებისა.

<u>საერთო ავარია</u>

2. წინამდებარე დაზღვევა ფარავს გადაზიდვის ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ან დადგენილი საერთო ავარიისა და გადარჩენის ხარჯებს, რომლებიც გაღებულია ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული დაკარგვის/დაღუპვის თავიდან აცილების მიზნით, გარდა ქვემოთ მითითებულ მე-4, მე-5, მე-6, და მე-7 მუხლებით გამორიცხული შემთხვევებისა.

<u>ორივე მხარის ბრალით შეჯახების შესახებ პირობა</u>

3. წინამდებარე დაზღვევით, ნებისმიერ დაზღვეულ რისკთან მიმართებაში, გათვალისწინებულია ანაზღაურება დამზღვევისთვის გადაზიდვის ხელშეკრულებაში მოცემული ''ორივე მხარის ბრალით შეჯახების'' მუხლით ნაკისრი პასუხისმგებლობისათვის. ხსენებულ მუხლთან დაკავშირებით გადამზიდავის პრეტენზიის შემთხვევში, დამზღვევი თანახმაა აცნობოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს, რომელიც უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით დაიცვას დამზღვევი ასეთი პრეტენზიისაგან.

**გამონაკლისები**

4. წინამდებარე დაზღვევით არც ერთ შემთხვევაში არ იფარება:

4.1. დამზღვევის განზრახ ქმედებით გამოწვეული დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი;

4.2. დაზღვევის საგნის წონის ან მოცულობის ჩვეული კლება, ჩვეული გაჟონვა ან მისი ჩვეული ცვეთა და ამორტიზაცია;

4.3. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის არასაკმარისი ან შეუსაბამო შეფუთვით ან მომზადებით, რათა გაუძლოს ჩვეულ ინციდენტებს დაზღვეული გადაზიდვის განმავლობაში, თუ ასეთი შეფუთვა ან მომზადება ხორციელდება დამზღვევის ან მისი დასაქმებულების მიერ ან წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლამდე (წინამდებარე პირობების მიზნებისათვის „შეფუთვა" მოიცავს კონტეინერში მოთავსებას, ხოლო „დასაქმებული" არ მოიცავს დამოუკიდებელ კონტრაქტორს);

4.4. დაზღვევის საგნის თანდაყოლილი ნაკლით ან დეფექტით ან ბუნებრივი თვისებებით გამოწვეული დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი;

4.5. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაყოვნებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაყოვნება თავისთავად გამოწვეულია წინამდებარე პირობებით დაზღვეული რისკით (გარდა ხარჯებისა, რომლებიც ანაზღაურებას ექვემდებარება ზემოთ მითითებული მე-2 მუხლის მიხედვით);

4.6. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია ხომალდის/სატრანსპორტო საშუალების მფლობელების, მენეჯერების, დამფრახტველების ან ოპერატორების გადახდისუუნარობით ან ფინანსურ ვალდებულებათა შეუსრულებლობით, მაშინ, როდესაც დაზღვევის საგნის ხომალდზე/სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვისას



**4.6.** დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია ხომალდის/სატრანსპორტო საშუალების მფლობელების, მენეჯერების, დამქირავებლების ან ოპერატორების გადახდისუუნარობით ან ფინანსურ ვალდებულებათა შეუსრულებლობით, მაშინ, როდესაც დაზღვევის საგნის ხომალდზე/სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვისას დამზღვევისათვის ცნობილი იყო, ან საქმიანობის წარმოების ჩვეული რეჟიმიდან გამომდინარე მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთ გადახდისუუნარობას ან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას შეეძლო ხელი შეეშალა გადაზიდვის ნორმალური მსვლელობისათვის;
წინამდებარე გამონაკლისი არ გამოიყენება, როდესაც დაზღვევა ენიჭება წინამდებარე პირობების საფუძველზე პრეტენზიის წარმდგენ პირს იმ მბოჭავი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მან შეიძინა ან თანხმობა განაცხადა დაზღვევის საგნის შეძენაზე;

**4.7.** დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან გამომდინარეობს ნებისმიერი ისეთი იარაღის ან მოწყობილობის გამოყენებიდან, რომელიც დაკავშირებულია ატომურ ან ბირთვულ გახლეჩას და/ან სინთეზს ან სხვა მსგავს რეაქციას ან რადიაციასა ან რადიოაქტიური ნივთიერების მოქმედებასთან.

**5.** 5.1. წინამდებარე დაზღვევით არც ერთ შემთხვევაში არ იფარება
დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, გამოწვეული:

**5.1.1.** სანაოსნო ხომალდის ნაოსნობისათვის გამოუსადეგარობით ან მისი უვარგისობით დაზღვევის საგნის უსაფრთხოდ გადაზიდვის მიზნებისათვის, თუ კი აღნიშნული გარემოებების შესახებ დამზღვევისათვის ცნობილი იყო დაზღვევის საგნის ხომალდზე ჩატვირთვის მომენტში;

10

**5.1.2.** კონტეინერის ან სატრანსპორტო საშუალების გამოუსადეგრობით დაზღვევის საგნის უსაფრთხოდ გადაზიდვის მიზნებისათვის, როდესაც მასში/ზე ჩატვირთვა ხორციელდება:
წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან
დამზღვევის ან მის დასაქმებულთა მიერ და ჩატვირთვის მომენტში მათთვის ცნობილია ასეთი გამოუსადეგრობის შესახებ.

**5.2.**

**5.1.1.** გამონაკლისი არ გამოიყენება, როდესაც დაზღვევა ენიჭება წინამდებარე პირობების საფუძველზე პრეტენზიის წარმდგენ პირს იმ მბოჭავი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მან შეიძინა ან თანხმობა განაცხადა დაზღვევის საგნის შეძენაზე.

**5.3.** მზღვეველი არ განიხილავს გემის სანაოსნოდ ან დაზღვევის საგნის დანიშნულების ადგილას მიტანის მიზნებისთვის მისი ვარგისიანობის შესახებ პირობას/გარანტიას დარღვეულად.

**6.** წინამდებარე დაზღვევით არც ერთ შემთხვევაში არ იფარება დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი გამოწვეული:

**6.1.** ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხებით ან აღნიშნული გარემოებებით გამოწვეული სამოქალაქო მღელვარებით, ან მეომარი მხარეების მიერ ან მათ წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი მტრული აქტებით;



6.1. ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხებით ან აღნიშნული გარემოებებით გამოწვეული სამოქალაქო მღელვარებით, ან მეომარი მხარეების მიერ ან მათ წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი მტრული აქტებით;

6.2. შეპყრობით, კონფისკაციით, დაპატიმრებით, შეზღუდვების დაწესებით ან დაკავებით (გარდა მეკობრეობისა) და მათი შედეგებით, ან ასეთი ქმედებების განხორციელების ნებისმიერი მცდელობით;

6.3. მიტოვებული ნაღმებით, ტორპედოებით, ბომბებით, ან სხვა მიტოვებული საბრძოლო იარაღით;

7. წინამდებარე დაზღვევით არც ერთ შემთხვევაში არ იფარება დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც:

7.1. გამოწვეულია გაფიცული, ლოქაუტირებული მომუშავეების, ან შრომითი ხასიათის არეულობებში, ამბოხში ან სამოქალაქო მღელვარებებში მონაწილე პირების მიერ;

7.2. გამომდინარეობს გაფიცვიდან, ლოქაუტიდან, შრომითი ხასიათის არეულობებიდან ან სამოქალაქო მღელვარებიდან;

7.3. გამოწვეულია ტერორისტული აქტით, რომელიც წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციის სახელით ან კავშირში მოქმედი ნებისმიერი პირის აქტს, რომელიც ახორციელებს ნებისმიერი ხელისუფლების/მთავრობის (მიუხედავად იმისა, კანონიერია იგი თუ არა), იძულებით ან ძალადობით, გადაგდების ან მასზე ზემოქმედებისკენ მიმართულ ქმედებებს.

7.4. გამოწვეულია პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მოტივებით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ.

**მოქმედების ხანგრძლივობა**

<u>გადაზიდვის მეხლი</u>

8. 8.1. ქვემოთ მითითებული მე–11 მუხლის პირობის გათვალისწინებით, წინამდებარე დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც დაზღვევის საგანი პირველად გადაადგილდება საწყობიდან ან შესანახი ადგილიდან (დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული ადგილიდან) გადამზიდავ ხომალდში/ზე ან სხვა გადასაზიდ საშუალებაში/ზე დაუყოვნებლივ ჩატვირთვისათვის, გადაზიდვის დაწყების მიზნით, გრძელდება გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის განმავლობაში და წყდება

8.1.1. გადამზიდავი ხომალდიდან ან სხვა საშუალებიდან საბოლოო საწყობში ან შესაბამ ადგილას გადმოტვირთვის დასრულებისთანავე დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ დანიშნულების ადგილას, ან

8.1.2. გადამზიდავი ხომალდიდან ან სხვა საშუალებიდან ნებისმიერ სხვა საწყობში ან შესაბამ ადგილას გადმოტვირთვის დასრულებისთანავე, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებულ დანიშნულების ადგილას, ისე ასეთ ადგილამდე, რომელსაც დამზღვევი ან მისი დასაქმებულები აირჩევენ შენახვისთვის, გარდა გადაზიდვის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შენახვისა, ან განაწილებისა თუ დისტრიბუციისთვის, ან

8.1.3. როდესაც დამზღვევი ან მისი დასაქმებულები აირჩევენ გამოიყენონ ნებისმიერი გადამზიდი ხომალდი ან სხვა საშუალება ან კონტეინერი შენახვისათვის, გარდა ტრანზიტის ჩვეული მიმდინარეობისას გათვალისწინებულისა, ან

8.1.4. გადმოტვირთვის საბოლოო პორტში დაზღვევის საგნის გადამზიდი ხომალდიდან გადმოტვირთვის დასრულებიდან 60 დღის გასვლისას,

რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

8.2. თუკი გადამზიდავი ხომალდიდან გადმოტვირთის საბოლოო პორტში გადმოტვირთვის შემდეგ, მაგრამ წინამდებარე დაზღვევის შეწყვეტამდე, დაზღვევის საგანი უნდა გადაიგზავნოს წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ დანიშნულების ადგილას, წინამდებარე დაზღვევა, ექვემდებარება რა 8.1.1. – 8.1.4. პუნქტებით გათვალისწინებული შეწყვეტის პირობას, შეწყდება, როდესაც დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ასეთი დანიშნულების ადგილის მიმართულებით გადაზიდვის დაწყების

23 დაზღვევის პირობები - სადა... 4666.pdf

aldagi.ge/_cdn/43/70/XSdxFFNKWEu7voWcb_UwFg/4666.pdf

4666.pdf 12 / 14 80%

რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

**8.2.** თუკი გადამზიდავი ხომალდიდან გადმოტვირთვის საბოლოო პორტში გადმოტვირთვის შემდეგ, მაგრამ წინამდებარე დაზღვევის შეწყვეტამდე, დაზღვევის საგანი უნდა გადაიგზავნოს წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ დანიშნულების ადგილას, წინამდებარე დაზღვევა, ექვემდებარება რა 8.1.1. – 8.1.4. პუნქტებით გათვალისწინებული შეწყვეტის პირობას, შეწყდება, როდესაც დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ასეთი დანიშნულების ადგილის მიმართულებით გადაზიდვის დაწყების მიზნით;

11

**8.3.** წინამდებარე დაზღვევა ძალაში რჩება (8.1.1. – 8.1.4. პუნქტებით გათვალისწინებული შეწყვეტის პირობისა და ქვემოთ მითითებული მე-9 მუხლის პირობის დაცვით) დამზღვევის კონტროლს მიღმა არსებული დაყოვნების, გადახვევის, იძულებითი გადატვირთვის, ხელახლა დატვირთვის ან სხვა ხომალდზე გადატვირთვის დროს, ასევე მგზავრობის კურსის შეცვლის დროს, რაც გამოწვეულია გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდავისათვის მინიჭებული უფლებების გამოყენებით.

<u>გადაზიდვის ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

**9.** თუ დამზღვევის კონტროლს დაუქვემდებარებელ გარემოებათა გამო, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება შეწყდა იმ პორტში ან რომელიმე სხვა ადგილზე, რომელიც არ არის დასახელებული ხელშეკრულებაში როგორც დანიშნულების ადგილი, ან ტვირთის გადაზიდვა შეწყდა სხვა მიზეზის გამო მე-8 მუხლში გათვალისწინებული წესით დაზღვევის საგნის ჩამოტვირთვამდე, ასეთ შემთხვევაში წინამდებარე დაზღვევაც ჩაითვლება შეწყვეტილად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მზღვეველს დაუყოვნებლივ ეცნობება შექმნილი ვითარების შესახებ და მოთხოვნილ იქნება სადაზღვევო დაფარვის გაგრძელება, ასეთ შემთხვევაში დაზღვევა დარჩება ძალაში დამზღვევის მიერ დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, მზღვეველის მოთხოვნისამებრ

**9.1.** დაზღვევის საგნის გაყიდვამდე და ასეთ პორტში ან ადგილას მიტანამდე ან, თუ სხვა რამ არ არის სპეციალურად შეთანხმებული, დაზღვევის საგნის ასეთ ადგილზე ან პორტში მიტანიდან 60 დღის გასვლამდე, იმისდამიხედვით, თუ თავდაპირველად რომელი გარემოება დადგება,

ან

**9.2.** თუ ზემოხსენებული 60 დღის (ან სხვა შეთანხმებული პერიოდის) ვადაში დაზღვევის საგანი გადაიგზავნება დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ დანიშნულების ადგილას ან ნებისმიერ სხვა ადგილას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში გათვალისწინებული წესით შეწყვეტამდე.

<u>დანიშნულების ადგილის ცვლილება</u>

**10.**

16:33 09.07.2021



დანიშნულების ადგილის ცვლილება

**10.**

10.1. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ დამზღვევი შეცვლის დანიშნულების ადგილს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს მომხდარის შესახებ, რათა შეთანხმდეს დაზღვევის ტარიფები და პირობები. იმ შემთხვევაში, თუ ზარალი დადგა ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმებამდე, მზღვეველს შეუძლია ძალაში დატოვოს დაფარვა მხოლოდ გონივრული საბაზრო პირობებისა და კომერციული ბაზრისთვის გონივრული ტარიფის გათვალისწინების პირობით.
10.2. როდესაც დაზღვევის საგანი იწყებს წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებულ გადაზიდვას (8.1 მუხლის შესაბამისად), მაგრამ, დამზღვევის ან მისი დასაქმებულების უკოდინრად ხომალდი სხვა მიმართულებით მიემგზავრება, წინამდებარე დაზღვევა მაინც ჩაითვლება ძალაში შესულად ასეთი გადაზიდვის დაწყებისას.

**პრეტენზიები**

სადაზღვევო ინტერესი

**11.**

11.1. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევს, ზარალის დადგომის მომენტისათვის, უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის საგნის მიმართ.
11.2. 11.1 პუნქტის დაკმაყოფილების პირობით, დამზღვევი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევით დაფარული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალისთვის, მაშინაც კი თუ ზარალი მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი ინფორმირებული იყო ზარალის შესახებ, მზღვეველი კი – არა.

გადაგზავნის ხარჯები

**12.** თუ წინამდებარე დაზღვევით დაფარული რისკის დადგომის გამო დაზღვეული გადაზიდვა შეწყდა წინამდებარე დაზღვევით გაუთვალისწინებელ დანიშნულების ადგილზე ან პორტში, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს დამზღვევს დაზღვევის საგნის გადმოტვირთვის, შენახვისა და წინამდებარე დაზღვევით წინასწარ შეთანხმებულ დანიშნულების ადგილზე გაგზავნის გონივრული და აუცილებელი დამატებითი ხარჯები.
წინამდებარე მე-12 მუხლი, რომელიც არ გამოიყენება საერთო ავარიისა და გადარჩენის ხარჯების მიმართ, ექვემდებარება მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში მითითებულ გამონაკლისებს და არ მოიცავს ხარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს დამზღვევის ან მისი დასაქმებულების ბრალით, გაუფრთხილებლობით, გადახდისუუნარობით, ან ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობით.

12

კონსტრუქციული ზარალი

**13.**



კონსტრუქციული სრული ზარალი

**13.**

ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის საგნის სრულ კონსტრუქციულ ზარალზე წარმოდგენილი პრეტენზია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი დასაბუთებულად და დროულად გადასცემს მზღვეველს უფლებას დაზღვევის საგანზე (აბანდონი) იმის გამო, რომ დაზღვევის საგნის სრული ზარალი გარდაუვალია (დაზღვევის საგანი არ ექვემდებარება აღდგენას) ან მისი აღდგენის, შეკეთების და დაზღვევით გათვალისწინებული დანიშნულების პუნქტამდე გადატანის ხარჯები გადააჭარბებს დაზღვევის საგნის ღირებულებას დანიშნულების პუნქტზე მისვლისას.

გაზრდილი ღირებულება

**14.**

14.1. თუ დამზღვევმა წინამდებარე დაზღვევით დაზღვევის საგანთან მიმართებაში განახორციელა რამე სხვა გაზრდილი ღირებულების დაზღვევა, დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება გაიზრდება წინამდებარე დაზღვევისა და ყველა სხვა გაზრდილი ღირებულების დაზღვევის მიხედვით დაფარული თანხების ჯამურ ოდენობამდე და წინამდებარე დაზღვევის მიხედვით მზღვეველის პასუხისმგებლობა გამოითვლება ხსენებული დაფარული თანხების ჯამურ მოცულობაში წინამდებარე დაზღვევით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის პროპორციული წილის შესაბამისად.
პრეტენზიის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია ყველა სხვა არსებული დაზღვევით გათვალისწინებული დაზღვეული თანხების შესახებ.

**14.2.** **თუ წინამდებარე დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევას, რომლითაც იფარება გაზრდილი ღირებულება, გამოიყენება შემდეგი პირობა:**
დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება უნდა ემთხვეოდეს პირველადი/ძირითადი დაზღვევისა და ყველა სხვა გაზრდილი ღირებულების დაზღვევით გათვალისწინებული დაზღვეული თანხების ჯამურ ოდენობას. წინამდებარე დაზღვევის თანახმად მზღვეველის პასუხისმგებლობა გამოითვლება დაზღვეული თანხების მთლიან მოცულობაში წინამდებარე დაზღვევით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის წილის შესაბამისად.
პრეტენზიის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია ყველა სხვა არსებული დაზღვევით გათვალისწინებული დაზღვეული თანხების შესახებ.

**დაზღვევის სარგებელი**

**15.** წინამდებარე დაზღვევა

15.1 ფარავს დამზღვევს. დამზღვევი მოიცავს პირს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მზღვეველისგან როგორც პირმა, რომელსაც, ან რომლის სახელითაც დადებულია დაზღვევის ხელშეკრულება ან როგორც უფლებამემკვიდრემ,

15.2 არ ვრცელდება და არ შეიძლება იქნას გამოყენებული გადამზიდველის ან ტვირთის შენახვაზე პასუხისმგებელი პირის სასარგებლოდ.

**ზარალის შემცირება**

დამზღვევის ვალდებულებები

**16.** ზარალის შემთხვევაში დამზღვევისა და მისი დასაქმებულებისა და აგენტების ვალდებულებას წარმოადგენს:

**16.1.** მიიღოს ყველა გონივრული ზომა ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, და

**16.2.** უზრუნველყოს გადამზიდველების, ტვირთის შენახვაზე პასუხისმგებელი და სხვა მესამე პირების მიმართ



16.1. მიიღოს ყველა გონივრული ზომა ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, და

16.2. უზრუნველყოს გადამზიდველების, ტვირთის შენახვაზე პასუხისმგებელი და სხვა მესამე პირების მიმართ არსებული (რეგრესული) უფლებების დაცვა.

ამასთან მზღვეველი წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების გარდა, დამზღვევს აუნაზღაურებს ამ უკანასკნელის მიერ ზემოთ მოყვანილი ვალდებულებების შესრულებისას გაწეულ გონივრულ და აუცილებელ ხარჯებს.

უფლებაზე უარის თქმა

17. დამზღვევის ან მზღვეველის მიერ დაზღვევის საგნის გადარჩენის, დაცვის ან აღდგენის მიზნით მიღებული ზომები არ განიხილება მათ მიერ საკუთარ უფლებებზე უარის თქმად ან დამზღვევის მიერ დაზღვევის საგანზე უფლებების დათმობად (აბანდონი) ან მხარეების უფლებების სხვაგვარიად შეზღუდვად.

**დაყოვნების თავიდან აცილება**

18. წინამდებარე დაზღვევის პირობას წარმოადგენს დამზღვევის ვალდებულება იმოქმედოს გონივრული სისწრაფის ფარგლებში ნებისმიერ მის კონტროლს დაქვემდებარებულ გარემოებაში.

13

**კანონმდებლობა და იურისდიქცია**

19. წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ექვემდებარება საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას.

*შენიშვნა: თუ დაზღვევის გაგრძელება მოთხოვნილ იქნება მე-9 მუხლის პირობების შესაბამისად, ან დანიშნულების ადგილის ცვლილების შეტყობინება ხორციელდება მე-10 მუხლის შესაბამისად, დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ეს გარემოებები მზღვეველს; ამ ვალდებულების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული დამზღვევის უფლება მიიღოს აღნიშნული დაფარვა.*

CL382 01/01/2009

ოქმის დასასრული